# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 265. ხუთშაბათი, 28 ოქტომბერი 1904 წ. გაზეთის № 2653.


# ამბავი

მაქსიმ გორკისა*)

ერთხელ შემთხვევით ჩვენი მეზობლის ახლად ჩამოსული შვილი ჰიდან წყლის ამოღებაზე მომეხმარა და აი, აქედან დაიწყო ჩვენი ნაცნობობა. ამის შემდეგ სცდილობდა ყოველთვის შეემსუბუქებინა ჩემთვის ჯაფა, ყველაფერში მშველიდა. მალე ისე დაუახლოვდით ერთმანეთს, რომ მთელ თავისუფალ დროს სულ ერთად ვატარებდით, ვსეირნობდით, ვოცნებობდით, ვკითხულობდით, ვცდილობდით ერთმანეთისთვის გვესიამოვნებინა. სიყვარულს არ ვუცხადებდით ერთმანეთს, თუმცა კი გვიყვარდა ერთმანეთი.

კიდევ მოულოდნელი შემთხვევა: ჩემი დიასახლისი გარდაიცვალა და მე შინისაკენ უნდა დავბრუნებულიყავ, ადგილი კი მზადა მქონდა სხვაგან. გაიგო თუ არა ეს სტუდენტმა, მაშინვე გამოუცხადა მშობლებს ჩემი ცოლად შერთვის სურვილი, მაგრამ მშობლებისაგან ცივი უარი მიიღო, მით უფრო, რომ ერთი წელიწადი კიდევ უნდა ესწავლა. გულმა მიგრძნო, რომ ეს უბრალოდ არ ჩაივლიდა, და აი, უკანასკნელად გავეშურე ბაღში, სადაც იგი ჩვეულებრივად იჯდა და წიგნს კითხულობდა ხოლმე. ერთი წუთი რომ დამგვიანებოდა, ცოცხალს ველარ მივუსწრობდი: ჩემ მისვლაზედ ხელიდან გაუვარდა რევოლვერი, რომლითაც თავის მოკვლას აპირებდა. არ ვიცი, რა მომდიოდა იმ დროს, მხოლოდ მოვიკრიბე თუ არა გონება, ფიცი ჩამოვართვი, თავი არ მოეკლა. ასე დავამშვიდე.

როდესაც წასვლა დავაპირე, მოვიდა. აკრძალული ჰქონდა ჩემი გაცილება, მაგრამ განა ჩვენ გამოუმშვიდობებლად ერთმანეთს დავშორდებოდით?! ნამდვილი სიყვარული ყოველთვის იპოვნის გზას. მშობლებმა გაგზავნეს ის ქალაქ მ—ში რალაცეების სასყიდლად. ის ოჯახი, სადაც იმას მოუხდა გაჩერება, ჩემი ნაცნობიც იყო: მე ამ ოჯახში ბავშვი მყავდა ნათლული. ჩვენ აქ უეცრად შევხვდით ერთმანეთს და ამ შეხვედრამ კინალამ სიცოცხლეს გამოგვასალმა. ძლივს დაგვაშორეს ერთმანეთს. ერთმანეთი გვიყვარს და კი არ ვეკუთვნით ერთმანეთს, იმიტომ რომ მე მოსამსახურე ვარ.—ოჰ, რა ძნელია ასეთი მდგომარეობა! მერე, განა მე მოსამსახურედ ვიყავ დაბადებული? ვისი ბრალი იყო ეს? ოჰ, ღმერთო ჩემო! რა არა ხდებოდა იმ დროს ჩემ გულში! მაგრამ მაინც თავს ვიმაგრებდი, არ მინდოდა სულ-მოკლეობა გამომეაშკარავებინა,



ჰოლანდელ მეთევზეთა ცოლები ქმრებს მოელიან.—სურ. ბარტელსისა.

*) იხ. „დამატება“, № 263.



ბრძოლა ლიაოიანთან.

მით უფრო, რომ ის მეცოდებოდა. ვცდილობდი, როგორმე დამემშვიდებინა და მომავლის იმედი არ გამექრო.

დროა! უნდა დავშორდეთ ერთმანეთს სამუდამოდ. ის დაბრუნდა შინ, მე დავრჩი ქ. მ—ში. პირველად ხშირი მიწერ-მოწერა გვქონდა. ის გიჟდებოდა, მე კი გულ-გრილად ვაგებინებდი, რომ ჩვენ ერთმანეთის შესაფერნი არ ვიყავით. ამასთან დედ-მამის წინააღმდეგობაც შეუძლებელი იყო. ბოლოს მიწერ-მოწერაც შევსწყვიტეთ, მაგრამ გულში ჩამრჩა ჭია, რომელიც მღრღნიდა ყოველ წუთს. მიყვარდა გაგიჟებით და იმავე დროს მეზიზღებოდა იმისი მშობლები, რომელნიც ჩვენს ბედნიერებას გადაეღობნენ. კიდევ კარგი, რომ სიყვარულს თავდავიწყებამდის არ მივუყვანივართ და განსაცდელს გადავრჩით. მაგრამ ეს საქმეს არ შეეხება.

ადგილი ვიშოვნე, ჯამაგარი საკმაოდ მეძლეოდა. ეს კი უნდა ვთქვა, რომ დიდ სასადილოში მოვხვდი, აუარებელი ხალხი სადილობდა ყოველ დღე და ამიტომ მოტრფიალეც ბევრი გამომიჩნდა. ჯერ მეუცხოვებოდა, მაგრამ მალე შევეჩვიე. ყოველთვის სუფთად ჩაცმულს, შავგვრემანს, თმა-ხუჭუჭას, ამდენ მოტრფიალეებით გარს შემოხვეულს, მუდამ მხიარულად, ამაყად მეჭირა თავი. ზოგს ვუყვარდი, ზოგი პატივის ცემით მეპყრობოდა, ზოგი სიმდიდრეს მპირდებოდა და თავისთან ცხოვრებას მთხოვდა, ზოგს კი ვძულდი, რადგან პირდაპირის ხასიათისა ვიყავი და ყველას აშკარად მართალს ვეუბნებოდი. ამავე დროს ცხოვრება მწყუროდა; წარსული დაკარგული სიყვარული მოსვენებას არ მაძლევდა, იმის დაკარგვისათვის ყველას სამაგიეროს ვუხდიდი. ხასიათი აქ ძალიან გამომეცვალა. წინეთ თუ სულ განმარტოვებით ვიყავ, ეხლა საზოგადოებაში ვერთობოდი ხოლმე, თეატრში, სეირნობაზე,— არაფერს არ ვაკლდებოდი. ეხლანდელი მდგომარეობა უკეთესი იყო: უსაქმოდ მაინც ვიყავი და თვეში ხუთმეტ მანეთსაც ვიღებდი. თუმცა მოხუცი სახლის პატრონი 100 მანათსაც კი მომცემდა თვიურად, რომ დავთანხმებოდი და უსიყვარულოდ ჩემი თავი მისთვის მიმეყიდნა. სიამოვნებას ვგრძნობდი იმ დროს, როცა ვხედავდი, რა რიგად სცდილობდნენ ჩემი მოტრფიალენი ჩემთან თავის მოწონებას. ერთმანერთს ეჯიბრებოდენ, მე კი თითქოს არ ვამჩნევდი. მუდამ მხიარულად და თამამად მეჭირა თავი, არ უარვჰყოფდი იმას, რითაც ის ვაჟბატონები მიმასპინძლდებოდნენ. დავდიოდი ყველგან; მხოლოდ პატიოსან ქალს კი ხშირად არ მიესვლებოდა იქ, სადაც მე დავდიოდი. მართალი უნდა ვთქვა, თავი იმდენად მაღლა მეჭირა, რომ არც ერთს ჩემ მოტრფიალეს მიზეზს არ ვაძლევდი, ვნებათა ღელვისაგან თავდავიწყებამდის მისულიყო. ვერ წარმოიდგენთ, რა რიგად მეზიზღებოდნენ ისინი, როგორ დავსცინოდი იმათ. ისინი კი ისე მოწიწებით მექცეოდნენ, სულ ხელით მატარებდნენ, თუმცა მოსამსახურე ვიყავი. ასე გასინჯეთ, დედამაც კი გამოიცვალა ჩემზე აზრი. კარგა ხანი-კი იყო, რაც დედა ზნე-დაცამულ ქალად მთვლიდა. მდიდარმა დეიდამაც ბოლოს მომაქცია ყურადღება, თუმცა ჯერ კიდევ პატიოსნება არა მქონდა დაკარგული. ჯერ ის სიყვარული არა მქონდა დავიწყებული. ისევ ამ ადგილას ვცხოვრობდი, ვშრომობდი, ვეხმარებოდი სახლის პატრონს სავაჭრო საქმეებში. ჩემი მოტრფიალენი მოთმინებიდან გამომყავდა. მხიარულად ვატარებდი დროს, თუმცა გული მტკიოდა საბრალო ძმაზე, რომელმაც სიყვარული ვერ აიტანა და ლოთობას მიჰყო ხელი. დედას ეხლა ხშირად ვხედავდი ხოლმე, წინანდებურად აღარ ვერიდებოდი, მაგრამ ხშირად დაჩაგრული ბავშობა მაგონდებოდა და ეს გულს მითუთქავდა.

ოცი წელიწადი შემისრულდა. ვცხოვრობდი ჯერ კიდევ ჩვეულებრივად. მაგრამ,—აგერ გავიდა გაზაფხული, დადგა ზაფხული და ბევრი რამ გამოიცვალა. ჯერ ერთი ის მოხუცი სახლის პატრონი ამიხირდა და მე იძულებული გავხდი, ადგილს მოვშორებოდი. ანგარიშის დროს აღმოჩნდა, რომ ჩემთვის აღარა ჰქონდა რა მოსაცემი, პირიქით მე დამდებოდა იმისი ვალი 25 მანეთი, რადგან ძმის გულისათვის ჯამაგირს წინ და წინ ვიღებდი ხოლმე. არ მინდოდა იმის ვალისთან წაღება, არც ის მინდოდა, რომ იმის უკანონო ცოლად დავრჩენილიყავ. ამიტომ ჩემი ნივთები დავუტოვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წაველი, მაგრამ სად წავსულიყავ? რა გზას დავდგომოდი? ჯიბეში გროში არ გამაჩნდა, არც ნივთები წამიღია თან, რომ დამეგირავებინა. გავეშურე დედასთან, ღამე იქ გავათიე და ვუამბე ჩემი თავგადასავალი. დედამ ყურადღებით მოისმინა ჩემი ნაამბობი და მეორე დილას მითხრა, შენ ჩემთან დარჩენა არ შეგიძლიან, თუ არ წახვედი აქედან, ადგილი დამეკარგებაო. ამ დროს დედა ვიღაც ქვრივთან მგონი შინა მასწავლებლად იყო. უნდა შევნიშნო, რომ დედამ გაჰყიდა თუ არა სამრეცხაო და შვილები თავიდან მოიშორა, მალე ქმარსაც განშორდა და ცალკე ცხოვრება დაიწყო. რასაკვირველია, დილითვე გამოვემშვიდობე დედას და წაველი. იმას ფიქრადაც არ მოსვლია ეკითხნა ჩემთვის, სად მივდიოდი, და აღარც მე მიკითხნია რამე.

მივდიოდი მაგრამ არ ვიცოდი—სად. მიველ ერთ ბაღში, სკამზე ჩამოვჯექი, მწარე ფიქრებმა გამიტაცა, თავი ვეღარ შევიკავე და მოვრთე ტირილი. გამვლელ-გამომვლელებში ბევრი დამცინოდა, ზოგს ნაცემი ვეგონე და ზოგს მთვრალი. ტირილი რას მიშველიდა, ისევ უნდა მომეფიქრებინა, სად წავსულიყავი. მართალია ივლისის დღე იყო. მაგრამ ღამე მაინც თავშესაფარი უნდა მქონოდა. ბინა, როგორც იყო, ვიშოვე: ფულის მაგივრად ჯერ პასპორტი მივეცი და ვუთხარ სახლის პატრონს, ახლად მოსული ვარ და ნივთები თან არა მაქვს მეთქი. დღე ჩემ ნაცნობ ოჯახში გავატარე და საღამოთი წაველი იმ ბინაზე... და... ღმერთო ჩემო, ვის ჩაუვარდი ხელში! ღამე იყო და, მხნეობა რომ არ დამკარგოდა, კაპლები დავლიე, იმ ღამეს შესანიშნავი არა მომხდარა-რა. არ მეკითხებოდნენ, სად ვიყავი, მაგრამ მე თვითონ ვატყობდი ყველაფერს. იქვე იყო ჩემი ერთი მოტრფიალე ვაჟბატონი, რომელიც საშინლად მეზიზღებოდა. ბოლოს ყველანი წავიდ-წამოვიდნენ, არა მომხდარა რა და მეც გული დავიმშვიდე, დავიძინე. ასე გავიდა ერთი კვირა.

ერთ საღამოს დიასახლისმა მითხრა, ახალგაზდა სიძესა და რძლისათვის საღამოს ვმართავთ და შენც, თუ შეიძლება, მონაწილეობა მიიღეო. დავთანხმდი. საღამომ საუცხოვოდ ჩაიარა. ხალხი აუარებელი დაესწრო, ბევრი ვიცეკვეთ, ვიმხიარულეთ და ბოლოს სტუმრებმა გადასწყვიტეს ზოოლოგიურ ბაღამდის წასვლა. წავედით ყველანი ერთად, სხვათა შორის ის ჩემი მოტრფიალეც, რომელიც ქალებს ფორთოხლით უმასპინძლდებოდა. ფორთოხალი მითავაზა მეც და ამ ფორთოხალმა მომიღო ბოლო *). რად გამოვართვი ეს ფორთოხალი! ვსწყევლიდი ჩემს თავს ასეთის წინდაუხედაობისათვის, მაგრამ გვიიან-ღა იყო. იმათ ადრევე შეედგინეს ჩემ დასაღუპავად გეგმა. დილას, როცა გამეღვიძა, აღარავინ იყო ჩემთან, მაგრამ ვიცოდი-კი ვინც იყო ჩემი ნამუსის ამხდელი. დაღლილ-დაქანცულმა საღამომდის ძლივს მავახწიე. მაშინვე მოვემზადე წასასვლელად, მაგრამ დიასახლისმა ანგარიში წარმომიდგინა, აღარც პასპორტი დამანება; ერთის სიტყვით წასვლის ნებას არ მაძლევდა. მივმართე იმ ნაცნობ ოჯახს. არ გამიმხელია, რომ უმანკო აღარ ვიყავ, მხოლოდ იმ დიასახლისას ვინაობა ავუწერე და ვთხოვე დახმარება. იქ მაშინვე სასამართლოსკენ მიმითითეს; მეც საჩივარი შევიტანე, დაიბარეს დედაკაცი და ძალის ძალად პასპორტი მოაცემინეს. ასე გათავდა ეს საქმე.

მე ისევ მარტოდ-მარტო, ისევ ქუჩაზედ ულუკმო-პუროდ დავრჩი. ჯანმრთელობა დამისუსტდა, ძლივს ფეხზედ ვდგებოდი. მივმართე პოლიციას: ვთხოვე ქ. რ-ში დაბრუნების ნება მოეცა, ვუთხარი, იქ შეძლებული დეიდა მყავს მეთქი. რასაკვირველია, უფასო ბილეთი ჩემთვის არ მოუციათ, მაგრამ გამგზავნეს ტუსაღთა ვაგონში, თუმც ცალკე განყოფილებაში ჩამსვეს. ჩემთან მორიგე ყარაულად ერთი აფიცერი იყო, რომელიც იმდენად გულკეთილი გამოდგა, რომ შეურაცხყოფას არ მაყენებდა, პირიქით სცდილობდა შეემსუბუქებინა ჩემი მდგომარეობა. ჩვენ ერთ კვირაზე მეტ ხანს დავყავით გზაში... აბა, რა მექნა?! მე ხომ ჯიბეში გროშიც არ მებადა, მით უფრო, რომ ბოლო დროს სულ ძილა-მიხდილი ვიყავი შიმშილისა და ათასგვარ უსიამოვნობისა გამო.

ბოლოს მივაღწიეთ ქ. რ-ს. აფიცერმა დაწვრილებით მიამბო ყოველივე ამ ქალაქის შესახებ, სად რა იყო და დაუმატა, თუ ვერ მოაწყო საქმეები, ისევ მე მომმართეო. მართლაც ასრულდა ის, რასაც ფიქრობდა აფიცერი. მოვნახე დეიდას სახლი, მაგრამ იქ არ მიმიღეს, რადგან თვითონ დეიდა პეტერბურგისაკენ გამგზავრებულიყო და იმის მამულის გამგე კი მე არ მიცნობდა. ამიტომ მივმართე ისევ იმ აფიცერს. მისი ცოლი ძალიან თანაგრძნობით მომეკიდა. იმას ჩემ მდგომარეობის შესახებ უკვე ყველაფერი გაეგო. მიმიღეს აფიცრის ოჯახში, მითხრეს, ნურასფერში ნუ მოგვერიდები და, სანამ სხვაგან მოეწყობოდე, ჩვენთან დაბინავდიო. დავისვენე. მეორე დღეს აფიცერმა ბარათი გამატანა ერთ ადგილას. რადგან ამ ქალაქის მცხოვრები ვიყავი, ადვილად შემეძლო მეშოვნა თავშესაფარი შრომის მოყვარეობის სახლში. მართლაც დავბინავდი იქა. მაძლევდნენ სასმელ-საჭმელს და ყოველივე იმას, რაც აუცილებელ საჭიროებას შეადგენდა, სამაგიეროდ — ჩემ კისერზე შრომა იყო. დავბინავდი თუ არა ამ სახლში, მაშინვე ავად გავხდი და ნოემბრიდან დეკემბრის დამლევამდე ლოგინიდან არ ავმდგარვარ. შობის წინა დღით მოვიდა ჩემთან დეიდა და მითხრა, ჩემთან პეტერბურგში უნდა წამოხვიდეო. ამან ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. სახეზე გულგრილობისა და ცარიელ თავმოყვარეობის მეტს ვერაფერი შევამჩნევდი ამ დედაკაცს. არ მინდოდა წავყოლოდი, მაგრამ ურჩობა ვეღარ გავუბედე და წავყევი.



პორტარტურთან ღამე ბრძოლის დროს.

— დავბინავდი იმის სახლში. გარეშემო აუარებელ სიმდიდრეს ვხედავდი და ამასთან კრიჟანგობას. მთელ კარ-მიდამოში ისეთი ჭუჭყი იდგა, რომ თუმცა წინად მოსამსახურედ ვიყავ

*) ზოგიერთი ვაჟბატონები ქალის დასამორჩილებლად ფორთოხალს მიმართავენ ხოლმე. ფორთოხალში შეაშხეფებენ ვნებათა ამაღელვებელ ან ძილის მომგვრელ კაპლებს და ასე თავიანთ მიზანს აღწევენ.

ავტორი.

და ხან-და-ხან შიმშილითაც ვკვდებოდი, მაგრამ ასე ჭუჭყიანად თავის დღეში არ მიცხოვრნია. აქაც ავადმყოფობა არ მომეშვა. ექიმი ყოველ დღე მოდიოდა,—ეს რა თქმა უნდა, უსიამოვნო ხარჯი იყო დეიდასთვის. საზოგადოებისა რცხვენოდა. მეც მინდოდა მალე მოვრჩენილიყავ და ეიდასთვის მეტ ტვირთად არ ვყ ოფილიყავ, მაგრამ ერთ ავადმყოფობას მოჰყვა მეორე და მაისამდის ლოგინს არ მოვშორებივარ. გადავრჩი თუ არა ავადმყოფობას, დეიდამ გამომიცხადა, ისევ ქ. მ-ში წადიო. ვთხოვე, ისევ აქ დავრჩები მეთქი, მაგრამ ცივი უარი მითხრა. მიყიდეს ბილეთი აღნიშნულ სადგურამდის და გამგზავნეს.

— ისევ ქალა მ-ში ამოვყავ დავი, ისევ ღვთისანაბარად, არაფერი არ გამაჩნდა, არც თავ-შესაფარი, არც ლუკმა პური. დავიქირე ოთახი ერთის ებრაელის ოჯახში და დროებით იქ დავბინავდი. ეს ოჯახი მეტად ღარიბი იყო, წვრილი ბავშებით სავსე, მამა მკერვალი იყო, განცხადების გამოკვრის ნება არა ჰქონდა და ამიტომ უსაქოდ იჯდა. ჩავეწერე შუამავალ კანტორაში და ორის დღის შემდეგ ვიშოვნე ადგილი: ხუთის წლის ბავშვისათვის ერთ ოჯახში უნდა მესწავლებინა. ვიღებდი თვიურათ 12 მანეთს და ღარიბ ებრაელის შვილებს დახმარებას ვაძლევდი.

(შემდეგი იქნება)




ტფილისის საარ[illegible]ი მეიერნხოლდის რუსულ წარმოდგენებზე.




ქუთაისის ფოსტის კანტორაში.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი


Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამხ—სა